

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების ზოგადი დებულება

1. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობები (ს.თ.).
 - 1.1 საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველი კლუბი.
 - 1.2 საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შეუძლია შექმნას, ს.თ. ჰქონდეს დებულება, აირჩიოს ხელმძღვანელობა და აწარმოოს შიდა საორგანიზაციო საკითხები დამოუკიდებლად.
 - 1.3 საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა პოლიტიკურად ნეიტრალურია.
 - 1.4 საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელები თანასწორნი არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე.

2. ს.თ.-ის დაფუძნება

- 2.1 ს.თ.-ის დაფუძნება შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტის არანაკლებ 5 (ხუთი) სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფს.
- 2.2 ს.თ.-ის დასაფუძნებლად საჭიროა მან გაიაროს რეგისტრაცია სტუდენტურ საქმეთა ცენტრში.
- 2.3 ს.თ.-ის რეგისტრაცია სტუდენტურ საქმეთა ცენტრში შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში ამ დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.
- 2.4 ს.თ. ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია სტუდენტურ საქმეთა ცენტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
- 2.5 ნებისმიერი სტუდენტი შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე ს.თ.-ის წევრი, თუმცა მხოლოდ ერთის დამფუძნებელი (5-კაციანი სადამფუძნებლო სიის წევრი) და მხოლოდ ერთი ს.თ. ის ხელმძღვანელობაში.
- 2.6 თუ რომელიმე ს.თ.-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი აპირებს სხვა ს.თ.-ის რეგისტრაციას, აუცილებელია სტუდენტურ საქმეთა ცენტრში ამოწეროს არსებული ს.თ.-ის სადამფუძნებლო სიიდან. იმ ს.თ.-ს რომელსაც, შესაბამისად, დააკლდება სადამფუძნებლო სიაში სტუდენტი, მოუწევს ამ უკანასკნელის სხვა სტუდენტით ჩანაცვლება.
- 2.7 ს. თ. -ის რეგისტრაციისათვის სტუდენტების ჯგუფი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - არანაკლებ 5-სტუდენტი ან წევრთა სია, სადაც არც ერთი არ არის სხვა ს.თ.-ის დამფუძნებელი;
 - ს.თ.-ის დებულება;
 - ს.თ.-ის სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული ს.თ.-ის სახელს;
 - ს.თ.-ის დასახელება უნდა შეიცავდეს სიტყვებს „საქართველოს უნივერსიტეტის“
 - განსახორციელებელი საქმიანობის აღწერილობა, საქმიანობის ერთი მიმართულების არჩევა არ ზღუდავს სტუდენტურ თვითმმართველობებს განახორციელოს სხვა სახის საქმიანობა;
- 2.8 ს.თ. უფლებამოსილია საკუთარი დებულების მიხედვით აირჩიოს ხელმძღვანელობა, აწარმოოს წევრთა სიის აღრიცხვა და კონტროლი, სხვა შიდა საორგანიზაციო საკითხები.
- 2.9 ს.თ. ვალდებულია სტუდენტურ საქმეთა ცენტრს მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ჯგუფის შესახებ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია.

3. ს.თ.-ის ვალდებულებანი

- 3.1 ს.თ.-ის საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, საუნივერსიტეტო წესდებებს, შიდასაუნივერსიტეტო აქტებს, წინამდებარე დებულებას და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.
- 3.2 თუ ს.თ.-ის რაიმე აქტივობა მოითხოვს ფინანსურ რესურს (დაფინანსების წყაროს მნიშვნელობა არ აქვს) ან უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზით სარგებლობას, ს.თ. ვალდებულია აცნობოს ამ აქტივობის შესახებ სტუდენტურ საქმეთა ცენტრს აქტივობის განხორციელებამდე არანაკლებ 1 (ერთი) კვირით ადრე.
- 3.3 ს.თ.-ის ხელმძღვანელი ვალდებულია მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წერილობითი სახით წარადგინოს სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, უკანასკნელის მიერ შესაბამისი მოთხოვნის შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა;

4. სტუდენტური თვითმმართველობების უფლებები

- 3.1 ს.თ.-ს უფლება აქვს მიიღოს დაფინანსება უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროდან, კონკრეტული საქმიანობის განხორციელების მიზნით; უნივერსიტეტისგან დაფინანსების მიღების მიზნით, ს.თ. სტუდენტურ საქმეთა ცენტრს წერილობითი ფორმით წარუდგენს პროექტს: განსახორციელებელი აქტივობის აღწერით და თანდართული ხარჯთაღრიცხვით. სტუდენტურ საქმეთა ცენტრი უზრუნველყოფს ს.თ.-ის მიერ წარდგენილი დაფინანსების მოთხოვნის გაცნობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის. დაფინანსების სხვა წყაროდან მიღების შემთხვევაში ს.თ.-მ შესაბამისი დაფინანსების მიღებამდე წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს სტუდენტურ საქმეთა ცენტრს, სადაც უნდა მიეთითოს დაფინანსების წყარო, თანხის ოდენობა, განსახორციელებელი საქმიანობის აღწერა; სტუდენტურ საქმეთა ცენტრი უზრუნველყოფს ს.თ.-ის მიერ წარდგენილი დაფინანსების მოთხოვნის გაცნობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ს.თ. უფლებამოსილია მიიღოს დაფინანსება.
- 3.2 ს.თ.-ს უფლება აქვს გამოიყენოს უნივერსიტეტის მეტერიალურ-ტექნიკური რესურსი, სტუდენტურ საქმეთა ცენტრთან წინასწარ შეთანხმების შემთხვევაში.

5. სტუდენტურ თვითმმართველობებს ეკრძალებათ:

- 4.1 უნივერსიტეტის სახელით რაიმე პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, ნებისმიერი სახის კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან, მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, რომლებიც ეწევიან პოლიტიკურ საქმიანობას.
- 4.2 ს.თ.-ს ეკრძალება ერთი წლის განმავლობაში 5000 ლარზე მეტი დაფინანსების მიღება (გარდა საქართველოს უნივერსიტეტიდან მიღებული დაფინანსებისა, უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაფინანსება არ ჩაითვლება ზემოთაღნიშნულ თანხაში) უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე. სხვა წყაროდან დაფინანსებად ასევე ჩაითვლება სტუდენტური თვითმმართველობების წევრის მიერ გაღებული თანხები.
- 4.3 ნებისმიერი სახის დაფინანსების მიღება ამ დებულებით დადგენილი წესების დარღვევით.

5 გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

- 5.1 სტუდენტურ საქმეთა ცენტრს უფლება აქვს გააუქმოს ს.თ.-ის რეგისტრაცია, თუ ის სისტემატურად და უხეშად არღვევს ამ დებულებით დადგენილ წესებს.
- 5.2 უნივერსიტეტში ს.თ.-ის საქმიანობა აკრძალულია თუ იგი რეგისტრირებული არ არის სტუდენტურ საქმეთა ცენტრის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 5.3 წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვარს.
- 5.4 ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს უნივერსიტეტის თვითმმართველობის 2012 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დებულება.